პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და შორაპნის II ქუჩისთვის პეტრე-პავლეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან მდებარე უსახელო ქუჩას და შორაპნის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პეტრე-პავლეს ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ისნის რაიონში, შორაპნის II ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პეტრე-პავლეს ქუჩის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:485549 Y:4615990
X:485639 Y:4615984
X:485625 Y:4615959
X:485708 Y:4615949
I ბიბი
პეტრე-პავლეს ქ.
X:485549 Y:4615877
X:485500 Y:4615838
X:485501 Y:4615724
პეტრე-პავლეს ქ.
X:485949 Y:4615

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032428990**
თარიღი: **15/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

11-032428994-03

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

თავმჯდომარეს, ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ისნის რაიონში პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე,დასახლებაში არსებული ქუჩათა ქსელი შესაბამისობაში არაა გზების ქალაქგეგმარებით ფაქტობრივ მოცემულობასთან.არსებობს მონაკვეთები, რომლებიც საერთოდ არაა სახელდებული, კახეთის ხევი და შორაპნის II ქუჩა კი საჭიროებს ხელახელ დაგეგმარებას და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სახელდებას.

გთხოვთ, მოახდინოთ ზემოდ აღნიშნული არეალის შესწავლა და ქუჩების სახელდება.

პატივისცემით,

კახაბერი ლაბუჩიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მაჟორიტარი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032431762**
თარიღი: **12/11/2024**

ადრესატი: საქართველოს საპატრიარქო
მისამართი: ერეკლე II ის მოედანი N1

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
მდივანს დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის, კახაბერ ლაბუჩიძის შუამდგომლობის საფუძველზე მიმდინარეობს პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან და ეკლესიასთან არსებული ქუჩის სახელდება. საკითხის დამუშავების ეტაპზე დადგინდა, რომ ტერიტორია, სადაც ქუჩა მდებარეობს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწოდებოდა პეტრე-პავლეს დასახლების სახელით.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ დასახლების ტერიტორიის ინტენსიურად განაშენიანებამდე სასაფლაომდე და ეკლესიამდე მისასვლელ ძირითად გზად ითვლებოდა დღევანდელი ნიკიფორე ირბახის ქუჩა. ნიკიფორე ირბახის ქუჩა თბილისის 1876 წლის გეგმაზე დატანილია პეტრე-პავლეს სახელით. ქუჩას სახელი 1923 წელს შეეცვალა და ფიოლეტოვის სახელი დაერქვა. 1993 წლიდან კი ნიკიფორე ირბახის სახელს ატარებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და ქალაქის ისტორიული ტოპონიმების გამოვლენა-აღდგენის თვალსაზრისით კომისია განიხილავს შესაძლებლობას იმსჯელოს პეტრე-პავლეს სასაფლაოს და ეკლესიის მიმდებარედ არსებული ქუჩისთვის პეტრე-პავლეს სახელის მინიჭებაზე. როგორც მოგეხსენებათ "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" თბილისის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რელიგიურ დღესასწაულებთან და სასულიერო მოღვაწეებთან დაკავშირებული სახელდება თანხმდება საქართველოს საპატრიარქოსთან.

ხსენებულის გათვალისწინებით გთხოვთ, გვაცნობოთ საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია წიმნხამდებარე წერილში აღწერილ გარემოებებთან და ქუჩის სახელის ზუსტ ფორმულირებასთან დაკავშირებით.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430543**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის კახაბერ ლაბუჩიძის 2024 წლის 15 ოქტომბრის საქმე #11-032428994-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ისნის რიონში, პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქუჩათა ქსელის სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ შორაპნის მეორე ქუჩის და პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან გამავალი უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243121103**
თარიღი: **07/11/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

15-03243 1240-03

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 31.10.2024 წლის #03-032430543 (31.10.2024 წ. #14-01243053012-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი